

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე

საქართველო

ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი

აბაშის მუნიციპალიტეტში სოფელი წყემის გზის რეაბილიტაცია

კონტრაქტის/ტენდერის #: EIB/MIMP/W/NCB/05-2016

1. საქართველომ მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (EIB) დაფინანსება **ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის (URDP)** განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **აბაშის მუნიციპალიტეტში სოფელი წყემის გზის რეაბილიტაცია**

პროექტი ითვალისწინებს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალიდან სოფ. წყემის გავლით ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას სიგრძით 5 300 მ. ორფენიანი ა/ბეტონის (5+4) საფარის მოწყობას, სავალი ნაწილის სიგანე 5 მ. ეზოში შესასვლელების, მიერთებების და წყალამრიდი მილების მოწყობას.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:

- ფრაქციული ღორღი 30 120 მ²
- ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 2 056 მ³
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 26 825 მ²
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 28 121 მ²
- რკ.ბეტონის მილები საერთო სიგრძით 57 მ
- ლითონის მილები საერთო სიგრძით 156 მ
- მონოლითური ბეტონი 124,6 მ³

სამუშაოების ხანგრძლივობაა 6 (ექვსი) თვე სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო სამი (3) წლის (2013, 2014, 2015წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 2,400,000 ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ან არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორცაა ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური რესურსები, გარდა სხვა საკონტრაქტო საავანსო თანხებისა, მინიმუმ 550,000 ლარის ექვივალენტის ოდენობით;

გ) კონკურსანტს, 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე, წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული მინიმუმ ერთი (1) **მსგავსი** სახის სამუშაოების კონტრაქტი, კერძოდ, **ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოების კონტრაქტი**, როგორც კონტრაქტორის, მმართველი კონტრაქტორის, ან ქვე-კონტრაქტორის სახით არანაკლებ 1,300,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით, ან 3 (სამი) ან ნაკლები კონტრაქტი (აღნიშნული ხასიათის), თითოეული არანაკლებ 450,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით, მაგრამ ჯამურად არანაკლებ 1,300,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით.

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ **აბაშის მუნიციპალიტეტში სოფელი წყემის გზის რეაბილიტაცია**

ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს 3.4.1 პუნქტის შესაბამისად და დონორის გადაწყვეტილებით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია და მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურები ეროვნული საკონკურსო ვაჭრობისათვის.

3. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
4. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.